პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 52 (13446) | პარასკევი, 4 მარტი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერში:

მუშაობას განაგრძობს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა

გუშინ დამთავრდა კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

დიდი პოლიტიკური აღმავლობის, მაღალი აქტივობის, ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში მიმდინარეობს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. დელეგატები ღრმად აანალიზებენ განვლილი გზის შედეგებს, აჯამებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, სახავენ კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების განხორციელების ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში.

8 მარტს დილის სხდომაზე გრძელდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ი. ჭანუკვაძე.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ს. კობახიძე, წოლელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ყოჩიაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ამხ. ა. ტ. სტუჩენკო, ჭითურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს სკრპერის მემანქანე ამხ. დ. ვ. კილაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ი. ფრუშიძე, ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის მეჩაიე ამხ. ნ. ი. ლომინაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ბ. ს. ძოწენიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. აბაშიძე.

შესვენების შემდეგ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ი. ფრუშიძე.

გაგრძელდა კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. სიტყვა მიეცა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კუპრავას.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს უზბეკეთის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის პრეზიდიუმმა, ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ლატვიის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის პრეზიდიუმმა, ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის პრეზიდიუმმა და ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. დ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ნ. ჯუსოევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ბ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ნ. თოიძე, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. რ. ა. გზიშვილი.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობამ აირჩია კომისია 55 კაცის შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს რეზოლუციას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ბ. სტურუა.

გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილმა, საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. პ. ე. ბერძენიშვილმა.

წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას გამოუგზავნეს საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ტრაულერის „კოლხეთის" ეკიპაჟმა, რომელიც ინდოეთის ოკეანეში იმყოფება, საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზსაყინული ტრაულერის „თბილისის" ეკიპაჟმა, რომელიც აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებთან იმყოფება, ერთ-ერთი ჯარის ნაწილის პირადმა შემადგენლობამ.

გრძელდება კამათი. გამოდიან საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილი, გარდაბნის რაიონის რუისმოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ბ. მ. ისმაილოვი, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. აპეტრასიანი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ვ. ზ. თოხაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ა. შარაძენიძე.

ამით დამთავრდა კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ყრილობა ცხადყოფს პარტიული რიგების მონოლითურ ერთობას, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მჭიდრო შეკავშირებას ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ყრილობის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება მეტად მჭიდროდ უკავშირდება პარტიულ ორგანიზაციათა როლის შემდგომ გაძლიერებას შრომითი იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, მასების შემოქმედებითი აქტივობის აღმავლობაში, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ დამაკმაყოფილებლად ცნონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

დამტკიცდა საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ამით დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის საღამოს სხდომა. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად

ეროვნული ნოგათი

რესპუბლიკის მშრომელები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას. რაიონებიდან რედაქცია იღებს დეპეშებს, რომლებშიც პარტიის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსები მშრომელთა სახელით საქართველოს კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს უპატაკებენ, რომ სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების წინასაყრილობო სოციალისტური ვალდებულებები განაღდებულია.

ქარელის რაიონის მშრომელებმა სასახელოდ გაანადგეს პირობა — საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის წინადღისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.030 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 2.640 ცენტნერისა. აქედან ადგილობრივ სასუქების საბჭოთა მეურნეობამ 1.620 ცენტნერი ნაცვლად 1.600 ცენტნერისა, 2.160 ცენტნერი რძე ნაცვლად 2.150 ცენტნერისა, 243.500 ცალი კვერცხი ნაცვლად 230 ათასი ცალისა. შაორანდელ ამაგე პაროიდთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.010 ცენტნერით მეტი ხორცი, 135.500 ცალით მეტი კვერცხი, 702 ცენტნერით მეტი რძე.

მცხეთელმა მშრომელებმა სიტყვა საკმად აქციეს, პირველი მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 842,5 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 650 ცენტნერისა, 2.385 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.970 ცენტნერისა, 61 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 60 ათასი ცალისა.

ლაგოდეხის რაიონმა, პირველი მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 3.305 ცენტნერი რძე ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 3.200 ცენტნერისა, 1.676 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.540 ცენტნერისა, 255 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 225 ათასი ცალისა.

დუშეთმა მშრომელებმა პირნათლად გაანადგეს ვალდებულება. სახელმწიფოს მიეყიდა 1.711 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.600 ცენტნერისა, 3.200 ცენტნერი რძე ნაცვლად 2.201 ცენტნერისა, 139.500 ცალი კვერცხი ნაცვლად 115 ათასი ცალისა.

ვანის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.240 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 850 ცენტნერისა, 1.580 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.280 ცენტნერისა, 474 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 185 ათასი ცალისა.

შუახევის რაიონის მშრომელებმა პირობა გაანადგეს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულეს 124 პროცენტით, კვერცხისა — 102 პროცენტით.

ამბროლაურელმა მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 228 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 190 ათასი ცალისა, 1.892 ცენტნერი რძე ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.700 ცენტნერისა.

წულუკიძის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.316 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.300 ცენტნერისა, 255 ათასი ცალი კვერცხი, რაც ნახევარი წლის გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

ონის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.291 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 750 ცენტნერისა, 64 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 35 ათასი ცალისა.

თელავის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.148 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.080 ცენტნერისა, 800 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 280 ათასი ცალისა. რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით.

ახმეტელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.172 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.150 ცენტნერისა, 124.700 ცალი კვერცხი ნაცვლად 120.000 ცალისა. მსხვილი ტყავის მიყიდვის გეგმა შესრულებული 100 პროცენტით, წვრილისა — 191, ღორის ტყავისა 124, ბეწვეულისა — 100,5, ქურქეულისა — 104 პროცენტით, რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 101,2 პროცენტით.

ჭიათურას რაიონის მშრომელებმა 1 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოს მიჰყიდეს 557 ტონა ხორცი ნაცვლად 540 ტონისა, 1.171 ტონა რძე ნაცვლად 960 ტონისა, 1.865 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 1.258 ათასისა. ამ საქმეში თავი გამოჩინა ზემო ფაჩხანის კოლმეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 116.4 ტონა ხორცი ნაცვლად 115 ტონისა, 265 ტონა რძე ნაცვლად 222 ტონისა, 258 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 236 ათასი ცალისა. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 93 ტონა ხორცი ნაცვლად 44 ტონისა, 182 ტონა რძე ნაცვლად 94 ტონისა, 141 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 107 ათასი ცალისა. მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები ყველა სახეში შესრულეს ოფანის და ბაგრატიონის კოლმეურნეობებმა.

ახმეტელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.172 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.150 ცენტნერისა, 124.700 ცალი კვერცხი ნაცვლად 120.000 ცალისა. მსხვილი ტყავის მიყიდვის გეგმა შესრულებული 100 პროცენტით, წვრილისა — 191, ღორის ტყავისა 124, ბეწვეულისა — 100,5, ქურქეულისა — 104 პროცენტით, რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 101,2 პროცენტით.

ბაღდათელმა მშრომელებმა 1 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოს მიჰყიდეს 557 ტონა ხორცი ნაცვლად 540 ტონისა, 1.171 ტონა რძე ნაცვლად 960 ტონისა, 1.865 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 1.258 ათასისა. ამ საქმეში თავი გამოჩინა ზემო ფაჩხანის კოლმეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 116.4 ტონა ხორცი ნაცვლად 115 ტონისა, 265 ტონა რძე ნაცვლად 222 ტონისა, 258 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 236 ათასი ცალისა. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 93 ტონა ხორცი ნაცვლად 44 ტონისა, 182 ტონა რძე ნაცვლად 94 ტონისა, 141 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 107 ათასი ცალისა. მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები ყველა სახეში შესრულეს ოფანის და ბაგრატიონის კოლმეურნეობებმა.

პიროგა განაღდებულია

„ტყიბულკვანაზირის" ტრესტის კოლექტივმა პირნათლად გაანადგა საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში გეგმის გადამეტებით ამოღებულია 10.700 ტონა ქვანახშირი. ეს 700 ტონით მეტია, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ყველა შახტამ.

ვენერა: კოსმოსი — დედამიწა

დაბა ნაუჩნი. (ყირიმის ოლქი), 2 მარტი. (საკდესის კორ.). იმ დროს, როდესაც საბჭოთა კოსმოსურმა სადგურებმა „ვენერა-2"-მა და „ვენერა-3"-მა შეასრულეს თავიანთი პროგრამა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გრძელდება ამ იდუმალი პლანეტის „დედამიწიდან" გამოკვლევა.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. პროკოფიევმა, იდუმალი პლანეტის სპექტრული გამოკვლევით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვენერას ატმოსფერო შეიცავს ჟანგბადს. შემდეგი ეტაპი იყო მისი ოდენობის დაზუსტება. საერთოდ რა გზით შეიძლებოდა შექმნილიყო ჟანგბადი?

თუნდაც მზის ულტრაიისფერი რადიაციით ნახშირბადის მოლეკულების დაშლის შედეგად, აღნიშნა მეცნიერმა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ ჟანგბადის მოლეკულური სპექტრის ზოგიერთი თვისება. ამ მიზნით, კერძოდ, გამოიყენება პულკოვოს ობსერვატორიის გვარობში დადგმული ასმეტრიანი მერქნეული მილი.

ვენერას ახალი სპექტრები, რომლებიც ამ ბოლო დროს მივიღეთ, გვიჩვენებს, რომ ამ პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენებში ჟანგბადის ოდენობა, ალბათ დედამიწისეული ჟანგბადის მეათედ პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს. ამერიკელ ასტროფიზიკოსებს ისიც კი მიაჩნიათ, რომ იქ ჟანგბადი დიდი-დიდი ერთი ოცდამეათედი პროცენტია.

უნდა შევამოწმოთ სხვა ვარაუდებიც ვენერას ატმოსფეროს შედგენილობის შესახებ. მაგალითად, არის თუ არა მასში, როგორც ეს პულკოვოელ ასტროფიზიკოსს ნ. ა. კოზირევს მიაჩნია, რთული ორგანული ნაერთები.

დღემდე არ არის ცნობილი ვენერას ზეფრში მუქი და ნათელი ლრუბლების გამოჩენის ბუნებაც, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ჩანს სპექტრის ინფრაწითელ ნაწილში. ზოგიერთი გამოცანა შესაძლოა კიდეც გადაიჭრას საბჭოთა სადგურების „ვენერა-2"-ისა და „ვენერა-3"-ის ექსპერიმენტის მეოხებით.

სამწუხაროდ, ახლა ვენერას მდგომარეობა არც ისე ხელსაყრელია დედამიწიდან დაკვირვებისათვის, რადგანაც იგი საკმაოდ დაბლა დგას ჰორიზონტზე. მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ საინტერესო იქნება ჩვენი მიწისზედა დაკვირვებათა შედეგები შევაჯეროთ საბჭოთა კოსმოსური სადგურების „ვენერა-2"-ის და „ვენერა-3"-ის მონაცემებს.

სურათზე: საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატთა ჯგუფი აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში — ტყვარჩელის მეშახტე ი. შამბა, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობის მეჩაიე რ. ბოლოკაშა, გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ბამარჯვების" ბრიგადირი ა. ჩაჩიბაია, გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარის კოლმეურნეობის წევრი ნ. ჩაბაკა, ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს" მეჩაიე ც. ძარდავა, სოხუმის რაიონის ს. ჯანგუბის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე ც. ტომასიანი, ოჩამჩირის რაიონის მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ხოსელია; მეორე რიგში — ახალი ათონის სადგო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ჩოჩუა, ტყვარჩელის გვარობგამყვანთა ბრიგადირი მ. ბიბაია, გალის რაიონის ჭუბურხინჯის კოლმეურნეობის მეჩაიე ც. ყოლბაია, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ნ. დემენჩუკი, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" გამმართველი ბ. არძინბა, გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური ნ. ჭუბაბრია, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. ძაჩუბერია; მესამე რიგში — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჯენია, გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხნის მხეზავი ნ. აკუსბა, გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ბესლანძე, გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვის კოლმეურნეობის მეთამბაქოე მ. დბარი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის სასწავლო მეურნეობის დირექტორი ბ. ეშბა, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესამინდე ბ. ლომაია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XVIII კონფერენცია

მოსკოვი, 3 მარტი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XVIII კონფერენცია.

პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

კონფერენციაში მონაწილეობენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაბანოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი.

სომხეთის კომპარტიის XXIV ყრილობა

ერევანი, 3 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს აქ მუშაობა დაიწყო სომხეთის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ.

დელეგატებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ტაშის გრიალში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი, სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სკკპ XXIII ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ვ. ქოჩინიანმა.

ნათელი გზა

ბ. შინკუბა,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ხვდებიან აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45-ე წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი დღესასწაული აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი ემზადება ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIII ყრილობას, რაც ისინი უდიდეს ყურადღებითა და ინტერესით განიხილავენ დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთის ისტორიაში დიადი მიჯნა, მისი მრავალეროვანი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანის დასაწყისი იყო. მას შემდეგ აფხაზეთი, რომელიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უფლებებით, წლითიწლობით ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა დიდ და მცირე ხალხებსა და ერებს შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების დასაწყისს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნების მშრომელ მასების ერთიან ძმურ კავშირად გაერთიანება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განვითარების თოთქმის ნახევარი საუკუნის ისტორია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით, აფხაზეთი, რომელიც მეფის რუსეთის ჩამორჩენილ, კოლონიურ განაპირა მხარეს წარმოადგენდა, გადაიქცა მოწინავე აყვავებულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად მაღალგანვითარებული ეკონომიკითა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მაღალი კულტურით.

ფართოდ განვითარდა ძვირფასი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა. აშენდა ჩაის ფაბრიკები, ხაკონსერვო და საფერმენტაციო ქარხნები, თამბაქოს და საკონდიტრო ფაბრიკები, წარმატებით ვითარდება მსუბუქი მრეწველობა.

რევოლუციამდელ აფხაზეთში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოყვანისათვის ხელსაყრელი ჰავისა და ნიადაგის პირობები თითქმის გამოუყენებელი იყო.

ახლა აფხაზეთი მაღალხარისხოვანი არომატული, მთელ მსოფლიოში განთქმული თამბაქოს ძირითადი მიმწოდებელია ჩვენს ქვეყანაში. აქ მოჰყავთ ციტრუსები, ყურძნის საუკეთესო ჯიშები, დაფნა. საპარფიუმერო მრეწველობა აფხაზეთიდან იღებს მაღალხარისხოვან სურნელოვან ზეთებს.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა კულტურულმა რევოლუციამ აფხაზეთის მშრომელებს გზა გაუხსნა ცოდნის, მეცნიერებისა და ხელოვნებისაკენ.

დიდი წარმატებებია სახალხო განათლების დარგში. ამჟამად აფხაზეთის ასსრ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში 97.800 მოსწავლეა, მაშინ როცა 1914 წელს მოსწავლეთა საერთო რიცხვი 8 ათასს არ აღემატებოდა. აფხაზეთში ორი უმაღლესი სასწავლებელია — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ კადრების მომზადებისათვის.

მეცნიერების ათობით მოღვაწე ნაყოფიერად მუშაობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჩვენში 591 მეცნიერი მუშაობა, მათ შორის 242 მეცნიერებათა კანდიდატი და 18 მეცნიერებათა დოქტორი. აფხაზეთშია ისეთი დიდი სამეცნიერო ცენტრები, როგორიც არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი და სხვ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელ სხივებქვეშ აყვავდა აფხაზური ლიტერატურა. ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებნი ცნობილია შორს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

აფხაზურ ენაზე გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, საბჭოთა კავშირის მოძმე ლიტერატურათა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

რევოლუციამდელი სოფელი მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას. ამჟამად აფხაზეთის ასს რესპუბლიკა დაფარულია საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, აფთიაქებისა და ამბულატორიების ფართო ქსელით. რესპუბლიკის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 70 სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, რომლებშიც მუშაობს 1.244 ექიმი, 3.594 ექთანი და მედდა. აფხაზეთში 60-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და ტურისტული ბაზაა.

თავიანთ შესანიშნავ დღესასწაულს — სახელოვან 45-ე წლისთავს მრეწველობისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მშრომელები, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ინტელიგენცია ხვდებიან ახალი წარმატებებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, დაფნის, ფორთოხლის, ლიმონისა და მთელ რიგ სხვა სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და დამზადების დარგში. შვიდწლედში სახელმწიფოს მიეყიდა 186 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც დავალებაზე 3.727 ტონით მეტია, 1.814 ტონა დაფნა. აქედან გეგმის გადამეტებით 858 ტონა. ლიმონი დამზადებულია გეგმაზე 60,2 პროცენტით მეტი და ფორთოხალი 64,8 პროცენტით მეტი. გადაჭარბებით შესრულებულია შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები ხორცისა და კვერცხის დამზადების დარგში.

სამრეწველო წარმოების შვიდწლიანი გეგმის შესრულება უსწრებდა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ მოცულობას. მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპმა შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს 10 პროცენტით გადააჭარბა, რის შედეგადაც აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა გეგმა ვადამდე შეასრულეს.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკის დაჯილდოება მეორე ლენინის ორდენით აღმფრთოვანებელი მოგლინა იყო აფხაზეთის ყველა მშრომელისათვის. საქართველოს მშრომელთა ამ დიდ შრომითს წარმატებებში ჩვენი აფხაზომიური რესპუბლიკის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შრომის წილიც არის. მაღალმა ჯილდომ გამოიწვია აფხაზეთის მშრომელთა ახალი შრომითი აღმავლობა მათს ბრძოლაში ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის.

აფხაზეთ

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის სარევიზიო კომისიის ანგარიში

მომხსენებელი ამხ. გ. ს. ფირცხალავა

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უმაგალითო პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას განიცდის. ეს აღმავლობა განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით. ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმებმა, დაგმეს რა სუბიექტივიზმი და ეკლუტარიზმი პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში, აღადგინეს პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობის, კოლექტიურობის ლენინური პრინციპები. პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად ახორციელებენ დასახელებული პლენუმების მიერ აღებულ კურსს, მტკიცედ იბრძვიან ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, სოციალისტური სისტემის უპირატესობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის. საზოგადოებრივი განვითარების აქტუალური საკითხების გადაწყვეტისას კონკრეტულ პირობათა და შესაძლებლობათა ფხიზლად გათვალისწინების, მოელენინური მეცნიერული მიდგომის, სოციალიზმის ეკონომიური კანონების უნარიანად გამოყენების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის, სექტემბრისა და მომდევნო პლენუმები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს პარტიის ახალი პროგრამის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. ამხ. ვ. ა. მეჟავნაძის ვრცელ და შინაარსიან მოხსენებაში საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოცემულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობის ღრმა ანალიზი და სათანადო დასკვნები, შეჯამებულია ის გრანდიოზული წარმატებები, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისია პარტიის წესდების შესაბამისად სისტემატურად ახორციელებდა კონტროლს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, ამოწმებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გარჩევის მსვლელობის და სხვა საკითხებს.

გადაუპარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო-სამეურნეო მუშაობა როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას ნათლად მოწმობს პარტიული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდში — 1964 და 1965 წლებში.

1964 წელს შემოსავალი გეგმით გათვალისწინებული ყოო 3.717.000 მანეთი, ფაქტიურად შემოვიდა 3.833.000 მანეთი. ე. ი. 116.000 მანეთით მეტი. 1965 წელს შემოსავალი უნდა ყოფილიყო 4.144.000 მანეთი, სინამდვილეში შემოვიდა 4.975.400 მანეთი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 831.400 მანეთით მეტია.

საშემოსავლო ნაწილის დადასტურებით შესრულება აიხსნება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის რიგების ზრდით, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ პარტიული საწევრო შესატანების დროულად აკრეფისადმი ყურადღების გაძლიერებით, საკავშირო კომუნისტების მიერ საწევრო შესატანის ორასწორად გადახდის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მიერ აკრეფილი თანხების შემნახველ სალაროში დაგვიანებით შეტანის, უწყისების არასწორად შევსების, რაიკომში შეჯამებული ცნობების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევებს. ეს და სხვა ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ განუმარტავენ კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციას საწევრო შესატანების შესახებ, აგრეთვე იმით, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი იშვიათად ამოწმებს პირველადს ორგანიზაციებში საწევრო შესატანების აკრეფის მდგომარეობას და არ იღებს სათანადო ზომებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ამხანაგებო! სარევიზიო კომისია რეგულარულად ამოწმებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მშრომელთა წერილებს, საჩივრებისა და განცხადებების განხილვისა და მსვლელობის მდგომარეობას.

ყოველწლიურად ათასობით წერილი, საჩივარი და განცხადება შემოდის ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა მოქალაქეებისაგან. მშრომელები პარტიაში სამართლიანად ხედავენ ჩვენი ეპოქის გონებას, სინდისსა და პატიოსნებას, მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის დაუღალავ, შედგარ მებრძოლს. და აი ისინიც მიმართავენ პარტიულ ორგანოს სხვადასხვა საკითხის გამო. ერთნი აყენებენ წინადადებებს, მიმართულ კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე საქმეთა გაუმჯობესებისაკენ, მეორენი აკრიტიკებენ საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, შეიცდომებს, ამხილებენ ბოროტმოქმედებას, მესამენი წერენ საკითხებზე, რომლებიც მათ პირად საჭიროებებს, პირად ცხოვრებას შეეხება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა წერილებს, საჩივრებისა და განცხადებების გარჩევა-განხილვისა და დაკმაყოფილების საქმეს. მშრომელთა განცხადებებსა და სიგნალებზე რეაგირების მდგომარეობა, მათში აღძრული მნიშვნელოვანი საკითხები ბევრჯერ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს მსჯელობის საგანი. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საანგარიშო პერიოდში ოთხჯერ განიხილა და დასახა სერიოზული ღონისძიებანი. თავის დადგენილებებში ცენტრალური კომიტეტი მკაცრად აფრთხილებდა და მოითხოვდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელებისაგან ადამიანურად მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების გარჩევა-განხილვის მდგომარეობა: განყოფილებები დროულად ეხმაურებიან მათ, უფრო ოპერატიულად წყვეტენ მათში აღძრულ იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ცენტრალური კომიტეტის უშუალო საქმეა, კონტროლს უწევენ სხვადასხვა ორგანოებში გადაგზავნილი წერილების მსვლელობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგ მათგანში მოცემულია საქმიანი წინადადებები, სასარგებლო რჩევა.

წერილებისა და განცხადებების დიდი რაოდენობა შეიცავს თხოვნას პირად საჭიროებათა დაკმაყოფილებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ ან წარმოადგენს საჩივარს ორგანიზაციებზე, უწყებებსა და მათს ხელმძღვანელებზე. ასეთ წერილებსა და განცხადებებში აღძრული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეძლოთ გადაეწყვიტათ შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს, თუ ისინი სათანადო მონდომებას გამოიჩენდნენ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების, მათი ზერელედ განხილვის, მათში აღძრული საკითხების არასწორად გადაწყვეტის, მათზე პასუხის გაცემის დაგვიანების შემთხვევები. ყოველივე ეს აიძულებს საბჭოთა ადამიანებს მიმართონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განცხადებებით, საჩივრებით, ზოგჯერ განმეორებითაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შედეგად ბევრ განცხადებასა და წერილში აღძრული საკითხი გადაწყვეტილ იქნა დადებითად. მაშასადამე, იმ უწყებებს, დაწესებულებებს, ხელმძღვანელებს, რომლებსაც პირველად მიმართეს მშრომელებმა და რომლებიც მოწოდებული არიან იმუშაონ ადამიანთა პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, გულის ხმიერება რომ გამოეჩინათ, დროულად და ყურადღებით განეხილათ წერილები და განცხადებები და დაეკმაყოფილებინათ მათი ავტორები, ეს უკანასკნელნი არ მიმართავდნენ ზემდგომ ორგანოებს. არ დაიხარჯებოდა დიდი დრო განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გარჩევის, შესწავლისა და მათ გამო ზომების მიღებისათვის.

საქმე მარტო რს კი არ არის, რომ განცხადებებსა და საჩივრებს დიდი დრო ეიკავა, რომ ზოგჯერ მატერიალური სახსრებიც იხარჯება მათი შემოწმებისათვის. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს. მთავარი ის არის, რომ ყოველი განცხადებისა თუ წერილის უკან სოციალისტური ქვეყნის მოქალაქეა, საბჭოთა ადამიანია, რომლის ბედნიერებისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. მაგრამ ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი ბიუროკრატიზმი ხელს უშლის მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლას.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშრომელთა წერილებისა და განცხადებებისადმი დამოკიდებულება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმეა. ამ ადამიანურ დოკუმენტებს უდიდესი ყურადღებით, კომუნისტური გულისხმიერებით უნდა ვეკიდებოდეთ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ადმინისტრაციის მანქანა უნდა მუშაობდეს ზუსტად, პატიოსნად, სწრაფად. მისი მოშვებულობით არა მარტო კეთილ პირთა ინტერესები ილახება, არამედ მართვის მთელი სამეც ყალბ, მოჩვენებითს ხასიათს იღებს.

მხედველობაში იღებდა რა იმას, რომ თვითეული მოცემული დაწესებულების შრომის ნაყოფიერების პეშმარიტი საზომია უწინარეს ყოვლისა ყველა საქმის ნამდვილად და დაუყოვნებლივ შესრულების ხარისხი, ლენინი მოითხოვდა უაღრესად სწრაფი და ამომწურავი პასუხი გაეცათ ყველა საქმესა და შეკითხვაზე.

ამხანაგებო! როდესაც მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი დაწერილია უსაფუძვლოდ. ასეთ ავტორთა რიცხვში, სამწუხაროდ, კომუნისტებიც არიან. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ქუთაისში მცხოვრები, სკკპ წევრი ი. ს. ლაბაძე მუშაობდა საბალხო მეურნეობის დაფინანსების მთავარ ეკონომისტად საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1961 წლის 1 თებერვლის დადგენილებით ამხ. ი. ს. ლაბაძე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან როგორც ავტორიტეტშელახული და ნდობადაკარგული მუშაკი.

ი. ს. ლაბაძე თვლის, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება არასწორია და თხოულობს ძველ სამუშაოზე აღდგენას. გარდა ამისა, თავის მრავალრიცხოვან განცხადებებში (მისი სატყეით, ეს უკვე 76-ე განცხადებაა) ის აღნიშნავს, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის აღმასკომის ხელმძღვანელები არ ეხმაურებიან დარღვევებსა და ბოროტმოქმედების ფაქტებს, რომლებიც სარევიზიო აქტებშია აღნიშნული.

განცხადებებში მოყვანილი ფაქტები მრავალჯერ შეამოწმეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებმა. დადგენილია, რომ მთელ რიგ დარღვევებს, რომლებიც მხედველობაში აქვს ამხ. ლაბაძეს, ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის აღმასკომი გამოეხმაურნენ. კერძოდ, საშტატო-საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევისაკენ სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნენ: ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების სარემონტო კანტორის უფროსი, სპორტულ საზოგადოებათა კავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, განაცხადებულია გაფრთხილების ტრესტისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობა. ამავე დროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ სარემონტო კანტორისა და ფიზკულტურის კომიტეტის სარევიზიო მასალები გადასცა სამართლებრივ ორგანოებს, რათა პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები. ყოველივე ეს რამდენჯერმე განუმარტეს ამხ. ლაბაძეს, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს წერას ზემდგომ ორგანოებში.

რაც შეეხება ამხ. ლაბაძის თანამდებობიდან განთავისუფლებას, ეს საკითხი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა სწორად გადაწყვიტა. 1964 წლის აგვისტომდე ამხ. ლაბაძე უარს ამბობდა შეთავაზებულ თანამდებობაზე, მოითხოვდა, რომ აღუდგინონ ძველ თანამდებობაზე. ამკამად ის მუშაობს ქუთაისის საქალაქო აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში სახელმწიფო შემოსავლის ეკონომისტად. მიუხედავად ამისა, ლაბაძე წერს და წერს ისეთსავე საჩივრებს, როგორც წინათ.

ჩვენ ამ მაგალითს აქ არ მოვიყვანდით, იგი ერთეულ შემთხვევას რომ წარმოადგენდეს. საკვირაოა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა კომიტეტებმა მოთმინებით და დამაჯერებლად განუმარტონ ლაბაძის მსგავს ამხანაგებს, რომ მათი მოქმედება შეეფერებოდეს კომუნისტისათვის, შეეთავსებელია პარტიის წევრის მაღალ წოდებასთან. და თუ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა არ გასჭრის და ისინი კვლავ განაგრძობენ უსაფუძვლო წერას, მაშინ საჭირო იქნება მათ მიმართ მკაცრი პარტიული სასჯელის გამოყენება.

ამხანაგებო! ზემოთ ჩვენ მოგახსენეთ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი მუშაობა უნაკლო იყო. იგი სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევდა საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს, სისტემატურად არ ამოწმებდა პარტიის საარქივო ბიუროებსა და სამეურნეო, სპორტულ საზოგადოებათა კავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, განაცხადებულია გაფრთხილების ტრესტისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობა. ამავე დროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ სარემონტო კანტორისა და ფიზკულტურის კომიტეტის სარევიზიო მასალები გადასცა სამართლებრივ ორგანოებს, რათა პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები. ყოველივე ეს რამდენჯერმე განუმარტეს ამხ. ლაბაძეს, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს წერას ზემდგომ ორგანოებში.

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატებს არჩევნები მოეწყო სკკპ წესდებისა და „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის სრული შესაბამისობით.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი დელეგაციებია: თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 268 დელეგატი, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 90 დელეგატი, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა—74 დელეგატი, ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 43 დელეგატი, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 27 დელეგატი, რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 25 დელეგატი, მახარაძის რაიონული პარტიული ორგანიზაციისა — 23 დელეგატი, ზუგდიდის რაიონული პარტიული ორგანიზაციისა — 22 დელეგატი.

ყველა დელეგატი არჩეულია დახურული (ფარული) ენენბულოთ და მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყრილობაზე დამსწრე ყველა დელეგატის რწმუნებანი და ჩათვალა ისინი სამდელად.

სამანდატო კომისიის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების სახელზე არ შემოსულა რაიმე საჩივარი ან განცხადება არჩევნების არასწორად ჩატარების, შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ან კომუნისტთა უფლებების შელახვის შესახებ.

ჩვენი ყრილობის დელეგატებად არჩეულია არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელგანძმული მუშაკები, კომუნისტური შრომის დამკვრელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები — პარტიის განსაკუთრებით აქტიური წევრები, რომლებიც თავდადებით მუშაობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

ყრილობის დელეგატებს შორის, არის 216 მუშა, 258 კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკი.

ყრილობის დელეგატები არიან — სახელგანძმული მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩჩაიძე, ცხობილი რუსთაველი მეფოლადე ამირან ფანცულაია, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი ვასილ პაპინაშვილი და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა ნოვატორი, რომლებმაც თავიანთა სასახელო საქმეებით ნათელი ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა ხალხის შრომის მატიანეში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ყრილობის დელეგატებს შორის არიან — საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია, რომელმაც თავის მებრძოლ მეგობართან მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დიადი ფრაზა აღმართა რიხსტაგზე, საბჭოთა კავშირის გმირი, პარტიზანთა სახელმოხვეჭილი მეთაური დაეთ ბაკრაძე, საბჭოთა კავშირის გმირები, გენერლები ნანეიშვილი და ჯანჯღავა და დიდი სამამულო ომის ბევრი სხვა მონაწილე, რომლებმაც საბრძოლო იარაღი შემოქმედებისა და მშენებლობის იარაღით შეცვალეს. ყოფილი მეომარი გმირები ახლა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან.

ყრილობის დელეგატებად არჩეულია 189 პარტიული მუშაკი, 179 საბჭოთა მუშაკი, 20 პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი, 56 მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მშენებლობის საწარმოთა ხელმძღვანელი.

პარტია და ხალხი დიდად აფასებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთაურთა, საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელთა შრომას. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მათ მაღალი ნდობა აღმოუჩინეს და ყრილობის დელეგატებად აირჩიეს.

ყრილობის დელეგატებიდან 29 სოციალისტური შრომის გმირია, 8 საბჭოთა კავშირის გმირი, 10 დელეგატს მინიჭებული აქვს ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება, 811 დელეგატი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დელეგატთა შორის 34 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 173 — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 47 — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი და 437 ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

დელეგატთა შემადგენლობა განაწილების მიხედვით ნათლად ახასიათებს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. 623 დელეგატს აქვს უმაღლესი განათლება, 47-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი. დელეგატთა შორის 184 ინჟინერია, 181—სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, 43 ეკონომისტი, 11 ექიმი, 166 პედაგოგი, 25 იურისტი, ყრილობის 15 დელეგატი აკადემიკოსია, 29-ს აქვს მეცნიერების დოქტორის და 47-ს — მეცნიერების კანდიდატის ხარისხი.

საყურადღებოა მონაცემები დელეგატთა შემადგენლობაზე პარტიული სტაჟისა და ასაკის მიხედვით. ეს მონაცემები ნათლად მოწმობენ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ იცავს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს და ამ ნორმებით ხელმძღვანელობს თავის პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის. პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ახამებენ ძველ და ახალ კადრებს, გამდიდრებულ აწინაურებენ პასუხსაგებ თანამდებობებზე ახალ მუშაკებს, უფროსიდაბალ ბოლშევიკთა ძველი გვარდიის წარმომადგენლებს, რომლებსაც აქვთ ცხოვრების უდიდესი გამოცდილება და პარტიული მუშაობის დიდი სტაჟი.

უხუცესი კომუნისტებიდან ჩვენი ყრილობის დელეგატები არიან სერგო ივანეს-ძე ქავთარაძე, ივანე სიმონის-ძე ფრანგულიანი, ესტატე კირილეს-ძე შამბა, კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე კარპოვი, რომანოზ ივანეს-ძე გელენიძე და სხვები.

ჩვენი ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა პარტიული სტაჟის მიხედვით შემდეგი ათასეულებით ხასიათდება: 1921 წლამდე —7 დელეგატი, 1930 წლამდე— 25 დელეგატი, 1931-1940 წლები — 204 დელეგატი, 1941-1950 წლები — 358 დელეგატი, 1951-1960 წლები — 281 დელეგატი, 1961 წლიდან და შემდეგ — 180 დელეგატი.

ყრილობის დელეგატთა ასაკობრივი შემადგენლობა ასეთი სახით გამოიყურება: 30 წლამდე ასაკისა — 88 დელეგატი, 31-დან 40 წლამდე—277 დელეგატი, 41-დან 50-წლამდე — 378 დელეგატი; 51-დან 60 წლამდე — 254 დელეგატი, 60 წელზე უნნესი — 58 დელეგატი.

ჩვენი ყრილობის დელეგატებად არჩეულია 224 ქალი, რაც დელეგატების მთელი შემადგენლობის 20 პროცენტზე მეტი შეადგენს. ჩვენი ყრილობის დელეგატ ქალთა შორის არიან მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ძმური შეგობრობის წლიოწელეულ ფერო განმტკიცების თვალსაჩინო დადასტურებაა ყრილობის დელეგატთა შემადგენლობის ანალიზი ეროვნების მიხედვით. მასში ასახულია ჩვენი პარტიული ორგანიზაციისა და მთლიანად რესპუბლიკის მოსახლეობის ნამდვილად ინტერნაციონალური ხასიათი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის რიგებში 72 ეროვნების კომუნისტებია. ყრილობის დელეგატთა შორის ქართველია 844, რუსი — 77, აფხაზი — 40, სომეხი — 40, ოსი —26, აზერბაიჯანელი — 13, უკრაინელი — 5, ბელორუსი — 2 და სხვა ეროვნების წარმომადგენელი — 8.

ამხანაგო დელეგატებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ლენინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმია. ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოს პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები, ამიერკავკასიის მუშებთან ერთად, თავიანთ დიდ მეგობართან და ძმასთან — რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, თავგანწირვით აღდგნენ ლენინის დროშით თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

საქართველოს კომუნისტები ყოველივის იყვნენ ამ დროშის ერთგულნი და მაღლა ეჭირათ იგი, უკან არ იხევდნენ არავითარი სიძნელისა და განსაცდელის წინაშე. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში საქართველოს კომუნისტები ყოველთვის იყვნენ კომუნისტებისათვის მებრძოლთა არმიის ავანგარდში, ამრავლებდნენ ქართველი ხალხის რევოლუციურ ტრადიციებს, მის შრომითს და საბრძოლო დიდებას.

მაგრამ კომუნისტები თავიანთ წარმატებებსა და გამარჯვებებს აფასებენ როგორც საფუძველს შემდგომი განვითარებისათვის, როგორც მძლავრ სტიმულს ახალი, კიდევ უფრო დიდი საქმეებისათვის. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ახლა, როცა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება სკკპ XXIII ყრილობისათვის, რომელიც უდიდესი მოვლენა იქნება საბჭოთა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! (ტაში).

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

მომხსენებელი ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილი

ამხანაგო დელეგატებო!

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა პარტია და ხალხი მზარდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან სკკპ XXIII ყრილობისათვის, როცა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გახიდლავენ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტს და თავიანთ ძალასა და ენერგიას წარმართავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენებაში XXIII ყრილობისადმი მოცემულია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ღრმა ანალიზი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში.

საქართველოს კომუნისტებს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს შეეძლიათ სამართლიანად იამაყონ იმ მიღწევებით, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჯილდოდა მეორე ლენინის ორდენით სახალხო აღიარება იყო იმ წვლილისა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მუშებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებს შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ღიად საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე ეს მეორე ლენინის ორდენი ქართველი ხალხის უკეთესი შრომითი დიდების განსახიერებაა და აღაფრთოვანებს მას ცხოვრებაში ლენინის უკედავი იდეების კიდევ უფრო მტკიცედ გატარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობიდან განვლილ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა რიგები შეივსო მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებით.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია XXII და XXIII ყრილობებს შორის 21.384 კომუნისტით გაიზარდა, რაც დამაჯერებლად მოწმობს უფართოეს მასებში პარტიის განუხრელად მზარდ ავტორიტეტს, ხალხთან მის განუყოფელ კავშირს. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახლა სკკპ 247.070 წევრსა და 12.905 წევრობის კანდიდატს ითვლის.

წინა ყრილობასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი, განმტკიცდა მათი ბრძოლისუნარიანობა, გაძლიერდა მათი გავლენა მრავალფეროვანი სამეურნეო და კულტურული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში ახლა 9.874 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, მათ შორის მრეწველობის, ტრანსპორტის, შენებლობისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში — 2.005, კოლმეურნეობებში — 1.436, საბჭოთა მეურნეობებში — 207.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის წინ გაიმართა საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, რომლებმაც განიხილეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური საკითხები, ანალიზი გაუკეთეს პარტიული კომიტეტების მუშაობას საანგარიშო პერიოდში.

ანგარიშგება-არჩევნებმა ცხადყო კომუნისტების მზარდი აქტივობა და იდეურ-პოლიტიკური სიმწიფე. მან ჩაიარა მაღალი ორგანიზებულობის ვითარებაში, საქმიანი, პრინციპული კრიტიკის ნიშნით და გვიჩვენა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთიანობა, მისი მზიდრო დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პარტიულ კონფერენციებზე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატები იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით პარტიის 260 წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით სკკპ 300 წევრობის კანდიდატისაგან.

ამავე პარტიულ კონფერენციებზე ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ის კომუნისტები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის, შშიაგანი და სასაზღვრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში.

ყრილობაზე სულ არჩეულია 1.002 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 53 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

სამანდატო კომისია მოგახსენებთ, რომ რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატების არჩევნები მოეწყო სკკპ წესდებისა და „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის სრული შესაბამისობით.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა შესახებ

ამხ. ო. ი. ლოლაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ღრმა ანალიზი, მოყვანილია ფრიად სასიხარულო ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ დიდ გამარჯვებებს, რასაც მიაღწიეს ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა და კოლმეურნეგლეხობამ, ჩვენმა ინტელიგენციამ, საქართველოს ყველა მშრომელმა, რომელთა თავდადებული შრომა ამას წინათ აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოთი — მეორე ლენინის ორდენით.

ჩვენ გვეამაყება იმის შეგნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიერ მიღწეულ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მისი დედაქალაქის მშრომელებმაც.

თბილისის მრეწველობამ ვადამდე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო სოციალისტური ვალდებულებებით, დამამთავრა შვიდწლედი, გადაჭარბებით შეასრულა დავალებანი როგორც წარმოების მოცულობის მხრივ, ისე პროდუქციის ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობაში. წარმატებით აღიზდა სტარტი ახალი ხუთწლედის პირველ წელსაც: იანვრისა და თებერვლის გეგმები შესრულებულია დიდი გადაჭარბებით, დავალების გადამეტებით გამოშვებულია 2,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

საანგარიშო პერიოდში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა მშენებლობის, საქალაქო მეურნეობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის კეთილმოწყობის, განვითარების დარგშიც. თბილისელები ამყოფენ მეტროპოლიტენთან—ამ შესანიშნავი მიწისქვეშა ნაგებობით, რომლის წარმატებით მშენებლობასთან-ერთად „თბილგვირაბმშენის“ კოლექტივი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

საკმაოდ დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

ყველაფერი, რაც უკვე გაკეთებულია და ღღეს კეთდება ჩვენს ქალაქში, შედგება პარტიული ორგანიზაციების ბეჯითი და მიზანსწრაფული მუშაობისა, რომლებმაც შეძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მასების ინიციატივასა და აქტივობას, მათი ყურადღება წარიმართათ მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსანახავად.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის ის ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებზეც ამხანაგმა გ. პ. მკალანაძემ მიუთითა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სავსებით და მთლიანად შეეხება თბილისის პარტიულ ორგანიზაციასაც.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ითვალისწინებენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ყველაფერი როდი გვგვიკეთებია ქალაქის მრეწველობის დიდი რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. შარშან თბილისში იყო 14 ჩამორჩენილი საწარმო, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 3 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. ეს უწინარეს ყოვლისა ეეხსნება შრომის ორგანიზაციის, საწარმოო და შრომითი დისციპლინის დაბალი დონით, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, კომუნისტებისა და კომკავშირელების არასაკმაო აქტივობით. ავრეთვე იმით, რომ სრულყოფილი არ იყო მრეწველობის მართვის ის სისტემა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე არსებობდა, ზუსტი არ იყო დაგეგმვა, დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული ეკონომიური სტიმულირება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

მრეწველობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, რაც მართვის წინანდელ სისტემას ახასიათებდა, რა თქმა უნდა, თავისთავად როდი გაქრება. სამინისტროებსა და მათს ადგილობრივ დაწესებულებებს, პარტიულ ორგანიზაციებს მოუხდებათ დიდ ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ აღმოფხვრან საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი, დაუდგრობა და ადგილებიდან მოძღინარე ინიციატივისადმი უყურადღებობა.

ამჟამად ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ მუშაობას ეწევიან ომისათვის, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ყოველი ღონისძიებით უწყობენ ხელს ფაბრიკებისა და ქარხნების მზადებას სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადასვლელად...

ამხანაგებო! ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა და სიზუსტე პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის მუშაობაში. პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ახლა მთავარ ყურადღებას აქცევენ პირველადი პარტორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის როლის შემდგომ ამაღლებასა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრება უფრო აქტიური, შინაარსიანი და მიზანსწრაფული გახდა. და მაინც მოგვიჩნია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი კონტროლი და დახმარება ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ ხორციელდება.

საანგარიშო პერიოდში ქალაქში ცოტა რამ როდი გაკეთდა მუშაკთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრაქტიკის, შესრულების შემოწმების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, მეტი ყურადღება ეთმობა კადრების იდეურ-პოლიტიკურ წრთობას.

მაგრამ ჩვენს პრაქტიკაში გვხვდება ფაქტები, როცა კადრების დაწინაურების ან ადგილიდან ადგილზე გადაყვანის საკითხები წყდება ინერციით, მუშაკის ღირსება-ნაკლოვანებათა გაუთვალისწინებლად.. ამის პირდაპირ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ გასული წლის მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტი იძულებული გახდა შეეცვალა ბევრი რიგი ნომენკლატურული მუშაკები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მუშაობას ან დაუშვეს სხვადასხვა დარღვევა.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია აგრეთვე დანაშაულობასთან, საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების საკითხი.

დამაფიქრებელია ის, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არის გაფლანგვა-დატაცების, სახალხო დოვლათის ხელყოფის შემთხვევები, სისხლის სამართლის დანაშაულობათა, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის თავტები.

აღნიშნული ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ვიდღლობთ მივაღწიოთ უწინარეს ყოვლისა აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების გზით, რომელშიც სულ უფრო კარგად ვიყენებთ იდეოლოგიური ზეგავლენის ისეთ დიდმნიშვნელოვან საშუალებებს, როგორიც არის პროპაგანდა და აგიტაცია, პრესა და კინო, რადიო და ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი დაწესებულებანი, სახალხო განათლების სისტემა — სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, პროფესორ-მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა.

ამ საქმეში ახლა უფრო აქტიურად ვაბამთ პეხსიონერებისა და შრომის ვეტერანების საბჭოებს, ქუჩის და ეზოების კომიტეტებს, სახლმმართველობათა ახლად შექმნილ პარტიულ ორგანიზაციებს, ქალაქის მშრომელებს.

ქალაქის პარტორგანიზაციის წინაშე დგას ამოცანა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბას თვითეული შრომისუნარიანი ადამიანი: მიმდინარე წელს განსაკუთრებით დიდი მუშაობა მოგველის „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით.

თბილისში ფართო ფრონტით წარმოებს ბრძოლა ინფანტილიზმის, რომ საქართველოს დედაქალაქი სანმეშო სოზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაკეთდეთ.

ეს ამოცანა ადვილი როდია. იგი მოითხოვს როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ისე მთელი საზოგადოებრიობის საქმიანობის შემდგომ აქტივიზაციას. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მთელი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა.

ამხანაგებო!

პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მოცულობის მიჯნაზე ვდგავართ. გავა ცოტა ხანი, და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში შეიკრიბება კომუნისტთა უმაღლესი ფორუმი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა, რომელიც შეაჯამებს კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს, განიხილავს და დაამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ მიღებულ დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დირექტივების პროექტს ფართოდ განიხილავენ პარტიულ ორგანიზაციებში, საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა კოლექტივებში. ქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და გამოთქვამენ მნიშვნელოვან წინადადებებს, ავლინებენ წარმოების დაჩქარებული განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის ახალ რეზერვებს.

ყველა საბჭოთა ადამიანის გონება და გული ახლა ყრილობისათვის მზადებისადმია მიპყრობილი. თბილისში, ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, ფართოდ გაჩაღებულია შეჯიბრება ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად. მშრომელები აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ იგი.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — ამ ყრილობაზე მოვიდა მჭიდროდ შეკავშირებული ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. იგი მზად არის კვლავაც წარმატებით გადაჭრას ამოცანები, რომლებიც ქალაქს მშრომელთა წინაშე დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. (ტაში).

ამხ. ვ. ო. კოგანიას სიტყვა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტთან ერთად აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე მივიდა რიცხობრივად გაზრდილი, იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცებული, ჩვენი პარტიის ლენინური შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მონოლითურად შეკავშირებული. აბორიგენებენ რა პარტიის პროგრამასა და გადაწყვეტილებებს, ამაღლებენ რა მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეს, აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს იმას, რომ შემდგომ გაამრავლეს აფონიური რესპუბლიკის მშრომელთა წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს შვიდწლედი. ეს გეგმა დასახული დავალებანი. შვიდწლედის მოწინავეთა შორის არიან ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მეშახტეები, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგეტიკოსები, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, თამბაქოს ფაბრიკისა და სხვა საწარმოების, ამიერკავკასიის რკინგზის სოხუმის ქვეგახყოფილების მშრომელნი და ბევრი სხვა საწარმოო კოლექტივი. საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. შვიდწლედის განმავლობაში, წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი თაოსნობის მეოხებით, დაზოგილია შვიდ მილიონ მანეთზე მეტი.

გადაჭარბებით შესრულდა შვიდი წლის დავალებანი აფხაზეთის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგშიც, მათ შორის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა — 102 პროცენტით. 1965 წელს გადაჭარბებით შესრულდა საგგმო დავალებები ციტრუსების, ყურძნის, სიმინდის, აბრეშუმის პარკის, უხეში ჩაის ფოთლის, დაფნის ფოთლის, ხორცის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების დამზადების დარგში. უკანასკნელ ორ წელიწადში მიღწეულია გარკვეული ძვრა მეთამბაქოობის განვითარებაში. განმტკიცდა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ეკონომიკა.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში საანგარიშო პერიოდის ღირსშესანიშნავი ნიშანი იყო მთელი რიგი ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნა. უმთავრესად ნასეენი მიწების ათვისების ბაზაზე. ეს მეურნეობანი სპეციალიზებულია ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოებაზე...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სწორად იყო აღნიშნული, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში, კერძოდ აფხაზეთშიც, მნიშვნელოვანი რეზერვებია ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, თამბაქოსა და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებისათვის. ამ პროდუქტების წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების ძირეულად გაუმჯობესებას, ოთხა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, როგორც ჩანს, უფრო უნდა გააძლიეროს მომთხოვნელობა სამინისტროებისა და უწყებების მიმართ, რათა მკვეთრად გაადაჩქაროს გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი.

სახელმწიფო აპარატის აწყობასა და ორგანიზებულ მუშაობას უალრესად დიდი მნიშვნელობა კიდევ იმიტომ ენიჭება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს გადასაწყვეტად დამატებით გადაეცათ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მრავალი საკითხი. უფლებების მიცემა დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობის, დაფინანსების, შრომისა და ხელფასის დარგში არა მარტო აფართოებს მოკავშირე რესპუბლიკათა ინიციატივას არამედ ამაღლებს მათ პასუხისმგებლობასაც სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ეფექტიანად, საქმისათვის მაქსიმალური სარგებლით გამოვიყენოთ პარტიისა და მთავრობის მიერ მოცემული დამატებითი უფლებანი.

ახალ ხუთწლედში პასუხსაგები ამოცანებია დასახული ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების წინაშე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ შექმნილია ყველა პირობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აქტიურობის გაძლიერებისა და უფრო საყოფიერი მუშაობისათვის.

ამხანაგებო! პროექტი სკკპ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის უპირატეს განვითარებას. ეს, მრეწველობის ის დარგებია, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რის შედეგები დაჩქარება ახალი ხუთწლედის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ნება მიბოძეთ მრეწველობის ამ დარგებიდან თქვენი ყურადღება შევაჩეროო საქართველოში ელექტროენერგეტიკის განვითარების პრობლემებზე.

ჩვენი რესპუბლიკა ჰიდროენერგეტიკული რესურსებით ფრიად მდიდარია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროელექტროსადგურების ფართო მასშტაბით მშენებლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ძლიერი ელექტროენერგეტიკული მეურნეობა. 1965 წელს გამომუშავებულ იქნა 6.400 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც 9-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

მიუხედავად ელექტროენერგეტიკის ასეთი განვითარებისა, ელექტროენერგიის დეფიციტი ჯერ კიდევ დღია. ჩვენი რესპუბლიკის და საერთოდ ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში ჯერ კიდევ არ არის მდგრადი მდგომარეობა და უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაშიც კი იძულებული ვართ შევნიღნდოთ ელექტროენერგიის ხარჯვა. რაც უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაზე. ეს მაშინ, როცა ჩვენი ჰიდროენერგეტიკული რესურსები ამქამად გამოყენებულია მხოლოდ 4-5 პროცენტით.

დირექტივების პროექტით საქართველოში გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გამომუშავების მნიშვნელოვანი გადიდება. ეს მიღწეულ უნდა იქნეს ენერგეტიკის, ვარცხნისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პირველი რიგის ამოქმედებით, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამძალავრის გადიდებით 960 ათას კილოვატამდე. ხუთწლედში დაიწყება აგრეთვე ენგურის კასკადის შემდეგი საფეხურის—თობარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ენგურის ჰიდროელექტროსადგური ერთ-ერთი უმძლავრესი და უნიკალური იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. აღსანიშნავია, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ასეთ გრანდიოზულ მასშტაბებს ჯერ არ ჰქონია ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში.

დიდი და საპატიო ამოცანები დგას საქართველოს კომუნისტების წინაშე აიდროენერგეტიკის ასეთ მძლავრ განვითარებასთან დაკავშირებით. ოთხი დიდი ჰიდროელექტროსადგურის ერთდროულად მშენებლობა, თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში სარი ახალი ელექტრობლოკის გამართვა მოითხოვს პირველ რიგში მშენებელი ტრესტის „საქჰიდროენერგომშენისაგან“ (ხელმძღვანელები ამხ. ნიკიფორაძე და ებრალიძე) საპროექტო ინსტიტუტ „თბილჰიდროენერგოპროექტისაგან“ (ხელმძღვანელები ამხ. გეგელია და ლოსაბერიძე), ამ ორგანიზაციების მთელი კოლექტივებისაგან ძალების დიდ დაძაბვას, თავდადებულ მუშაობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზაციას, მუშათა და იჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კადრებით უზრუნველყოფას.

ასეთი დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ უახლესი ტექნიკის, მექანიზაციის მაქსიმალურად გამოყენების, მშენებელთა მაღალი დარაზმულობისა და ორგანიზებულობის პირობებში. ეს ობიექტები ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულ საერთო-სახალხო მშენებლობანია.

ახალ ხუთწლედში ჩვენ შესაძლებლობა გვექნება წარმატებით გადავჭრათ რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პრობლემა. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, დასახული პროგრამის განხორციელების შედეგად არა მარტო სრულიად დაკმაყოფილებთ ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. არამედ კიდევაც მივაღწევთ მას მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკას. (ტაში).

ამხ. ბ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

□

ამხანაგებო! ღირსშესანიშნავ დღეებში შეიკრიბა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სახელოვანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით განვლილ შვიდწლედში ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლევამოსილების უზრუნველყოფაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებსაც საფუძვლად უდიან მეცნიერული მიდგომა, სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებისადმი, ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედების ყოველმხრივი გათვალისწინება და დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპები, მიმართული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობის სრულყოფისაკენ. ჩვენმა პარტიამ გადაჭრით დაგმო და უკუაგდო სუბიექტივიზმისა და პროექტიორობის ყოველგვარი გამოვლინებანი სამეურნეო ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული სამეურნეო რეფორმა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ღერძია. ამ რეფორმის მთავარი მიზანია ის, რომ ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და ამ საფუძველზე დავაჩქაროთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდა.

საწარმოთა გადასაყვანად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოების, ტრესტების, სამმართველოების, სამინისტროების პარტიული ორგანიზაციებმა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა უნდა გაუწიონ. უკვე ამ სტადიაზე გასაკეთებელი ყურადღება უნდა მიაქციონ შიდასაქარხნო დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის სრულყოფას, პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ყველაზე რაციონალური კავშირის დამყარებას, შიდასაქარხნო სამეურნეო ანგარიშის დანერგვასა და განმტკიცებას, მომუშავეთა მატერიალური სტიმულირების მოწესრიგებას, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემოღებას, კადრების ეკონომიურ მომზადებას და ასე შემდეგ.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს, როგორც წესი, სათავეში გამოცდილი და ნიჭიერი სპეციალისტები

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

უდგანან. სწორედ ამიტომ არის, რომ საწარმოთა უმრავლესობა გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ცოტა როდია ისეთი მაგალითები, როცა ზარალიანი, ჩამორჩენილი საწარმოები რენტაბელურ და მოწინავე საწარმოებად ქცეულან.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც ცუდად მუშაობენ და ორმელთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები წლითიწლობით უცვლელი რჩება. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ საწარმოს ხელმძღვანელი ვერ იჩენს საკმაოდ უნარს ან ცოდნას გამოავლინოს ნაკლოვანებანი, იბრძოლოს მათ აღმოსაფხვრელად, ცუდად ეკეკვა შრომის ორგანიზაციის საკითხებში. ბუნებრივია, რომ ასეთ საწარმოში დაბალია წარმოების კულტურაც.

როგორც ცნობილია, სამეურნეო რეფორმის პრაქტიკულად განხორციელება უკვე კარგა ხანია დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ საწარმოს წინასწარ ყოველმხრივ და საფუძვლიან მომზადებას დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასაყვანად. ფართოდ უნდა გავეცნოთ იმ საწარმოთა გამოცდილებას, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობენ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკური დაგეგმვადაპარების საწარმოების ახალ სისტემაზე გადაყვანის საკითხს გადაწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ამ საქმეში პასუხსაგები ორი რული აკისრია რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რომელმაც პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინოს საქონისტროებს ახალ სისტემაზე საწარმოთა შერჩევისა და გადაყვანაში.

მოსამზადებელ მუშაობას ამ დარგში წინ უნდა უძღოდეს საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და სახარჯნავი საშუალებების მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ეკონომიური ანალიზი. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ საწარმოები, რომლებიც დღემდე მოქმედი წესის პირობებში კარგად მომუშავეებად ითვლებოდნენ, ვერ უპასუხებენ ახალ სისტემაზე გადაყვანის მოთხოვნებს. მაგალითად, რუსთაველ მეტალურგიულმა ქარხანამ, სადაც ცუდად როდია დაყენებული მუშაობა, წლების განმავლობაში ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. საკმარისია აღინიშნოს,

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, ბოლო ორ-სამ თვეში ეკონომიურ-ტექნიკურ ღონისძიებათა ფართო ასორტიმენტის ხელშეწყობით, ამ



ᲐᲠᲢᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲚᲔᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲣᲓᲣᲜᲔᲑᲡ: ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ.

ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲮᲘᲚᲓᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). წულუკიძის № 8 პროფტექნიკური სასწავლებელი ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაში. აქ თვიდან თვემდე გადამეტებით ახრულებენ პროდუქციის გამოშვების დავალებას, ამასთან მაღალ დონეზეა დაყენებული მოსწავლეთა საწარმოო სწავლება, აღმზრდელობითი მუშაობა.

სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით სასწავლებელს მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲠᲘᲡᲝᲠᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ

□

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გადაბრით უარყო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის იაპონიის ელჩის მაცუის ცდა შეეჯიბრებინა ა. წ. თებერვალში საბჭოს წევრთა „საერთო გაწყობილება“ ვიეტნამის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია მის დღის წესრიგში. წერილი ამ საკითხზე მაცუმ რამდენიმე დღის წინათ გაუგზავნა უშიშროების საბჭოს წევრებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ნებისმიერი მოქმედება „აშკარა ცდაა მხარი დაუჭიროს მეორეხარისხოვანი შტატების მანევრს, რომლებიც უშიშროების საბჭოში ვიეტნამის საკითხის დამორ ცდილობენ შეიღებონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიული ომის გაფართოების ღონისძიებანი.

წერილში, რომელიც ამბ. ფედორენკომ ა. წ. 1 მარტს გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, ხაზგასმულია, რომ უშიშროების საბჭოს არ გაუფასებია თიბილი თავმჯდომარისათვის გაკეთებინა რამე განცხადება და ამიტომ მას არ ჰქონდა უფლება გამოექვეყნებინა ასეთი წერილი საბჭოს თავმჯდომარის სახელით. ამგვარი მოქმედებით, საბჭოს თავმჯდომარემ დაარღვია უშიშროების საბჭოს პროცედურის წესები და მისი მუშაობის დამკვიდრებული პრაქტიკა.

ამბ. ფედორენკომ მოაგონა, რომ ბევრი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, წინააღმდეგი იყო, რომ ვიეტნამის საკითხი შეეტანათ საბჭოს დღის წესრიგში, რადგან მიიჩნიათ, რომ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას არა გაერთიანებული-ერების ორგანიზაციაში, არამედ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა ფარგლებში.

საბჭოს წევრებს შორის წარმოშობილ უთანხმოებათა გამო დისკუსია ვიეტნამის საკითხზე არსებითად არ გამართულა და საბჭოს თავმჯდომარემ, დარღვია რა თავისი რწმუნებულებანი, სცადა „არაოფიციალური წესით“ შეიმუშავებინა „საერთო ზრი“ ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ.

საბჭოთა ხალხი, აღნიშნულია დოკუმენტში, დიდი თანაგრძნობით ეკიდება ვიეტნამელი ხალხის მიმართ აღადგინოს მშვიდობა თავის ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისრობის ცნობილ პოზიციას და საბრძოლ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამას ვიეტნამის საკითხის მოწესრიგების შესახებ, რომლებიც შეესაბამება ჟენევის შეთანხმებებსა და მშვიდობის ინტერესს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, ხაზგასმულია წერილში, არ არის მართლზომიერი და არა აქვს რამიე კანონიერი ალა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი მხოლოდ იაპონიის წარმომადგენლის აზრია.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ითხოვა წერილი გამოიცეს როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი.

ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲒᲚᲣᲠᲐᲓ

დელი, 2 მარტი. (საკდესი). ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატამ — შტატების საბჭომ — ოთხი დღის კამათის შემდეგ დღეს მოიწონა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა პარლამენტისადმი. ოპოზიციის მიერ შეტანილი რეზოლუციის ყველა შესწორება უარყეს.

კამათის დასასრულს პალატის დეპუტატებს სიტყვით მიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. შეეხო რა ინდოეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ პრობლემას, მან ინდოეთის ყველა პარტიასა და მოსახლეობის ყველა ფენას მოუწოდა ერთობისა და თანამშრომლობისაკენ, რათა „ულწრაფესად გადაიჭრას ინდოეთის ეკონომიური სიძნელენი.

შეეხო რა ტაშკენტის დეკლარაციას, ინდირა განდიმ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ დეკლარაციამ ინდოეთისა და პაკისტანეს ხალხებს, აწლი შესაძლებლობანი მისცა იცხოვრონ მშვიდობით, კეთილმეზობლურად. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა „ეფექტურად დამძაბნი ნ“, რათა მივაღწიოთ ურთიერთგაგებას ორივე ქვეყანას შორის. შემდეგ მოკლედ ინდირა განდი შეეხო ინდოეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს და დაადასტურა, რომ ინდოეთი მიეუხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ერთგულია.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲡᲐᲛᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 3 მარტი. (საკდესი). უკვე რამდენიმე დღეა ასამის შტატის (რრდილოაღმოსავლეთი ინდოეთი) მეზობ. ოლქში ეწყობა სერიოზული მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, იუწყება პრესტრასტენ ოფ ინდიას სააგენტო. 28 თებერვალსა და 1 მარტს ამ რაიონში მიზოს ტომის შეიარაღებული რაზმები, რომლებიც შტატის ამ ნაწილში ცხოვრობენ, თავს დაესხნენ ქალაქების აიჯალისა და ლუნგლეიის სახელმწიფო დაწესებულებებს, ბანკებსა და არსენალებს. მიზოს რაზმებმა, რომლებსაც პრესის ცნობებით ექსტრემისტული ორგანიზაცია „შიდა ეროვნული ფრონტი“ მეთაურობს, დაარღვიეს კავშირის ხაზები და შეიარეს ზზები.

როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ინდოეთის მთავრობამ მიზოს ოლქი „შფოთის რაიონად“ გამოაცხადა.

ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ნანდამ, რომელიც დღეს პარლამენტის სახალხო პალატაში გამოვიდა, დეპუტატებს განუცხადა, რომ ამ რაიონში წესრიგის აღსადგენად გაგზავნილია ინდოეთის ჯარები.

• • •

ᲗᲘᲖᲝᲡ ადმინისტრაციული ოლქი მდებარეობს მთის რაიონში და უკავია 23 ათასაზდ კვადრატული კილომეტრი. მეტი წილი მისი ტერიტორია დაფარულია ბნელად გასავლელი ჯუნგლებით. მოსახლეობა — 266 ათასი კაცი.

მიზოს ტომი ძველთაგან ცნობილია როგორც მებრძოლი ტომი და წარსულში მრავალგზის მიუყენებია უსიამოვნება ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲕᲚᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხინასტროს წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ ორი ატომური ბომბი, ამერიკის „ბ-52“ ბომბდამშენისა, რომელსაც 17 იანვარს კატასტროფა შეემთხვა პალომარესის (ესპანეთი) მახლობლად, ნაწილებად დასდა ჩვეულებრივი ამფეთქებით. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „კატასტროფის დროს დარტყმის გამო აზუ-



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების მთავრობის ეგრეთწოდებული „მშვიდობიანი შეტევის“ მიზანი იყო დაეფარა ახალი მზადება ომის გაფართოებისათვის ვიეტნამში. ამას წერენ საერთაშორისო მომიმხილველები და კომენტატორს უკეთებენ კარიკატურისტები.

ამერიკის გაზეთ „მინეაპოლის ტრიბუნში“ მოთავსებულია მხატვარ ლონგის ეს ნახატი, რომელსაც ეწოდება „ხელოვნური კრუნი?“

შავდა ორი ატომური ბომბის ჩვეულებრივი დეტონატორები, რის შედეგადაც გამოიყო რადიოაქტიური ნივთიერებები.

თუმცა პენტაგონის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობას „სერიოზული საფრთხე“ არ მოელის, შაგრამ მან აღიარა, რომ ამერიკის ატომური ენერგიის კომისიას გადაწყვეტილი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში კატასტროფის რაიონიდან გაგზავნოს რამდენიმე ასეული ტონა მიწა „მის გასაკეთებლად“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დღეს პირველად ოფიციალურად აღიარა, რომ მიმდინარე წლის 17 იანვარს ამერიკის ბომბდამშენის კატასტროფის შედეგად დაკარგული ერთ-ერთი ატომური ბომბი დღემდე ნაპოვნი არ არის. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომზადგენელმა მაკლოსკიმ განაცხადა, რომ მიწაზე სხვა ატომური ბომბების დარტყმის შედეგად კატასტროფის რაიონში გავრცელდა რადიოაქტიური ნივთიერებანი — პლუტონიუმი და ურანი.

მაკლოსკიმ აღიარა, რომ პალომარესის რაიონში (ესპანეთი) ამ ბომბების ვარდნის ადგილიდან აიღეს მიწის ფენა და მცენარეულობა. მან უარი თქვა ეპასუხა კითხვაზე, კვლავ წარმოებს თუ არა ატომური იარაღით დატვირთული ამერიკული თვითმფრინაველთა ფრენა ესპანეთში.

ᲮᲝᲜᲚᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საავადმყოფოების მესამედი საავალალო მდგომარეობაშია. ეს სამკურნალო დაწესებულებები, რომლებშიც ითვლება 200.000 საავადმყოფო საწოლი, მოთავსებულია ძველ მოუფელელ შენობებში და ძალზე მოუწყობელია. ესა და სხვა ფაქტები ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესახებ მოუვანილია წერილში, რომელიც პრეზიდენტმა ჯონსონმა გაუგზავნა კონგრესს. პრეზიდენტმა სთხოვა კანონმდებლებს 6-8 მილიარდი დოლარი ათი წლის პერიოდით ძველი საავადმყოფოების მოდერნიზაციისათვის.

მაშინ როცა მთავრობა 10 წლით რამდენიმე მილიარდ დოლარს ითხოვს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, იგი ყოველწლიურად ათობით მილიარდ დოლარს ხარჯავს სამხედრო მიზნებისათვის.

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲘ?

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ᲛᲐᲙᲜᲐᲛᲐᲠᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ. მან გამოაცხადა, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავი მოუყარეს 300 ათასამდე ჯარისკაცს და მზად არიან შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი მსოფლიოს ყოველ ნაწილში.

მაკნამარამ განაცხადა, რომ განკარგულება გასცა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნოს კიდევ 20 ათასი ამერიკელი სანმედრო მოსამსახურე. ამის შედეგად, როგორც მან თქვა, ამერიკის ჯარების რიცხვი ამ ქვეყანაში 235 ათასს მიაღწევს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ვიეტნამის ომთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვნად გაადიდებს ყველა სახეობის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის შეკვეთებს.

ᲮᲝᲜᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საავადმყოფოების მესამედი საავალალო მდგომარეობაშია. ეს სამკურნალო დაწესებულებები, რომლებშიც ითვლება 200.000 საავადმყოფო საწოლი, მოთავსებულია ძველ მოუფელელ შენობებში და ძალზე მოუწყობელია. ეს და სხვა ფაქტები ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესახებ მოუვანილია წერილში, რომელიც პრეზიდენტმა ჯონსონმა გაუგზავნა კონგრესს. პრეზიდენტმა სთხოვა კანონმდებლებს 6-8 მილიარდი დოლარი ათი წლის პერიოდით ძველი საავადმყოფოების მოდერნიზაციისათვის.

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 2 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის კონგრესში კვლავ დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამჟერად მთელი რიგი სენატორების კრიტიკულ გამონათქვამთა სამიზნე გახდა მთავრობის კანონპროექტი, რომ დამატებით გამოიყოს 4,8 მილიარდი დოლარი ვიეტნამის ომის გასაგრძელებლად.

ᲑᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის დედაქალაქში არ მუშაობს მეტრო. მიწისქვეშა გზებზე გაჩერდნენ ექსპრესთა ცისფერი და მწვანე ვაგონები.

მეტროში გაფიცეა. (საკდესი).

ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲒᲚᲣᲠᲐᲓ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ

1953 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პ. ქავთარაძე იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვების სნეულებათა კათედრის გამგე. წლების განმავლობაში პ. ქავთარაძე იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი და ხელმძღვანელობდა ასპირანტთა მომზადებას. 1945-1949 წლებში იგი მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში.

პ. ქავთარაძე რამდენიმეჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ ნეგროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარედ, საქართველოს მედიცინის ისტორიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარედ. 1962 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებათა პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მეცნიერული მუშაობა პ. ქავთარაძემ სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო. ჯერ კიდევ 1914 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი „ანაბიოზი“. პ. ქავთარაძის კალამს ეკუთვნის ასამდე მეცნიერული ნაშრომი და ნეგროლოგიის სახელმძღვანელო. მისი ნარკვევები ეხება კლინიკური ნეგროლოგიის და თერაპიის, კურორტოლოგიის და სამკურნალო ფიზიკულტურის, ბავშვთა ნეგროლოგიის, სამხარეო პათოლოგიისა და ეიფელ ხემდინცინო ინფექციის საკითხებს.

საქართველოში პ. ქავთარაძემ პირველად აღწერა ენმდემიური ენცეფალიტის პირველი კერა და ზოგიერთი ატიპიური ფორმები. აღნიშნულ საკითხს ეძღვნება თანამედროვე ეპიდემიური ენცეფალიტის თავისებური ფორმების შესწავლაც. პ. ქავთარაძემ ამომწურავად გაამუქა ქრონაქსიმეტრიის ღირებულება ნერვეუნთოვანი აპარატის სხვადასხვა დაზიანების შემთხვევებში. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში ქრონაქსიმეტრიის მეთოდის დამნერგავად და პოპულარიზატორად.

პ. ქავთარაძის სახელთან დაკავშირებულია ბავშვთა ნერვული დაავადებების მეცნიერული შესწავლა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კურორტ ანტალაზე გახსნილია სპეციალური სანატორიუმი ბავშვთა დამბლების ტალახით მკურნალობისათვის. მან ყოველმხრივ შეისწავლა კურორტები აბასთუმანი, შოვი, წაღვერი. პ. ქავთარაძე ერთ-ერთი პირველია, რომელმაც კლინიკაში დანერგა სამკურნალო ფიზკულტურა.

პ. ქავთარაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ბიოგრაფიული ხასიათის შრომები გამოჩენილ ნეგროპათოლოგებზე, კრიტიკული წერილები და ლიტერატურული ნარკვევები, სადაც თვალნათლივ ჩანს ავტორის დიდი ერუდიცია, წერის მაღალი კულტურა და საქმის საფუძვლიანი ცოდნა. პ. ქავთარაძის მიერ აღზრდილია ნეგროლოგთა მთელი პლეადა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ნაყოფიერ სამეცნიერო-პრაქტიკულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პ. ქავთარაძე ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ პ. ქავთარაძე არ იმეწყვებდა თავის მშობლიურ კუთხეს. სოფელ ნოსირში მოსახლეობის კულტურული მომსახურეობისათვის მან პირადად ჩამოაყალიბა ბიბლიოთეკა და ყოველწლიურად ამარაგებდა ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დაჯილდოებული იყო ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით.

პ. ქავთარაძე ჭეშმარიტად გამოჩენილი კლინიცისტი ნეგროპათოლოგი იყო, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ნაყოფიერი მეცნიერულ-კლინიკური, პედაგოგიური, პრაქტიკული მოღვაწეობით და მეტად სათნო ადამიანური თვისებებით ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

პ. ქავთარაძის ნათელი ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენი საზოგადოების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲜᲔᲕᲠᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ქალაქ იაბლოლის „დიანას“ ახალ სასპორტო დარბაზში ჭიდაობის ხუთი ათასი მოყვარული დაესწრო საქართველოს სს რესპუბლიკისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 4,5:3,5.

ხალიჩაზე პირველი გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ბაიუ ბაევი და სსრ კავშირის ჩემპიონი ალიბეგაშვილი. შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ყველაზე ლამაზი და გაბედული იყო ახალგაზრდა ბულგარელი მოჭიდავის ივან შავოვის ბრძოლა ქართველ მოჭიდავე გოგიჩაიშვილთან. შავოვმა ქულებით მოიგო შეხვედრა.

სამოცდაათ კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ბულგარელი მოჭიდავე ლ. დიმიტროვი ქულებით დამარცხდა სსრ კავშირის ჩემპიონთან, ბერიაშვილთან ბრძოლაში.

ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა საღამოს ქალაქ იაბლოლის „დიანას“ ახალ სასპორტო დარბაზში ჭიდაობის ხუთი ათასი მოყვარული დაესწრო საქართველოს სს რესპუბლიკისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 4,5:3,5.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

5 ᲛᲐᲠᲢᲘ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი ხელბურთში სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეაყთა გუნდებისათვის.

გუშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს თბილისში ამხანაგური შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ხელბურთელებთან. ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა ნაკრებში შედიოდნენ ჯ. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ, ჯ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Მ. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ. ასპარეზობა სსრ კავშირის ნაკრების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 23:16.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

□ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ხის საზამთრო ტრეკზე გაიმართა საერთაშორისო ასპარეზობა ველოსიპედოლაში. სხვებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ჩემპიონმა Მ. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ.

სპრინტერულ რბოლაში წარმატება ხვდა მასპინძელთა წარმომადგენელს ᲰᲐᲜᲡ ᲘᲣᲠᲒᲔᲜ ᲙᲚᲣᲜᲔᲠᲗᲡ. მსოფლიოს ჩემპიონმა Მ. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ, რომელიც ჯერ ვერ შეეგუა უჩვეულო ტრეკს, მეექვსე ადგილი დაიკავა.

□ ᲒᲣᲨᲘᲜ იუგოსლავიის ქ. ლუბლიანაში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება შიბაეან ᲰᲝᲙᲔᲘᲜᲘ. მსოფლიოს ჩემპიონმა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა პოლონელი ᲰᲝᲙᲔᲘᲡტები ანგარიშით 8:1.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 3 მარტი. (საკდესის კორ.). გროზნოს სეისმურმა სადგურმა და ცენტრალურმა სეისმურმა სადგურმა „მოსკოვმა“ 2 მარტს 5 საათსა და 36 წუთზე მოსკოვის დროით აღრიცხეს მიწისძვრა ჩრდილოეთ კავკასიაში. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ გროზნოს სამხრეთით 60 კილომეტრზე იყო. მიწისძვრის ძალა 5-6 ბალს აღწევდა.

ეპიცენტრის მახლობლად ზოგიერთ სოფელში დაინგრა შენობები. მსხვერპლი არ არის.

ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲢᲔᲛᲣᲙᲝᲨᲘ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 3 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა ჩილეში მესამე მატჩი გამართეს ქალაქ ტემუკოს ადგილობრივი გუნდის „ვრინ კროსის“ („მწვანე ჯვრის“) წინააღმდეგ და დამარცხდნენ — 0:1.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმ გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ᲑᲐᲜᲘᲫᲔ, ᲞᲝᲜᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘ, ᲨᲣᲢᲔᲠᲜᲘᲝᲕᲘ, ᲒᲔᲢᲛᲐᲜᲝᲕᲘ, ᲖᲝᲠᲜᲘᲜᲘᲜᲝ, ᲐᲤᲝᲜᲘᲜᲝ, ᲛᲔᲢᲠᲘᲒᲔᲚᲘ, ᲡᲐᲑᲝ, ᲑᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲠᲐᲔᲕᲘ, ᲛᲔᲚᲮᲔᲠ.

ᲩᲐᲛᲝᲠᲘᲡ ᲪᲮᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ზამთრის ტურნირის მორიგი მატჩი ფეხბურთში, თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და იაროსლავლის „შინაკის“ გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1:0.

ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲘᲐ

ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲖᲘᲠᲘ

ᲐᲡᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ რესპუბლიკურმა გაზეთმა „ცინიმა“ რიგის მახლობლად მდებარე სოფელ ალაკში მცხოვრებ ხუთი წლის გოგონას მამაცობის ამბავს. პატარა გმირს სანდრა ჰქვია. ის, მისი ძმები — სამი წლის აივარი და ხუთი თვის არტისი, წლინახევრის და ანიტა მშობლებთან ერთად ცხოვრობენ ხუტორში, რომელსაც „საულეკალნის“ (მზიური მთები) ეძახიან.

სანდრას მამა — სატყეო მრეწველობის მეურნეობის მუშა მარტინს ცირიტისი და დედა — პასსიონატის თანამშრომელი — დილით როგორც ყოველთვის, სამუშაოზე წავიდნენ. მათ იცოდნენ, რომ უფროსი გოგონა მიხედავდა პატარებს და ასანთით თამაშის ნებას არ მისცემდა. თუმცა მოხდა ისე, რომ უბედურების მიზეზი გახდა არა ასანთი, არამედ ღუმელი, რომელიც მშობლებს წასვლის წინ ძლიერ გაეხურებინათ. გარეთ ოცდახუთი გრადუსი ყინვა იყო.

ცეცხლი მოეკიდა ღუმელის თაგზე. გასაშრობად დაკიდებულ ბავშვის ტანსაცმელს, ხოლო როცა სანდრამ კვამლი იგრძნო და სამზარეულოს კარი გააღო, ოთახი ცეცხლის ალში იყო გახვეული. გოგონა არ დაიბნა. გაახსენდა, გარეთ რომ ციოდა, და აივარს ჩაცმაში მიეშველა, პატარები თბილად შეფუთნა. შემდეგ უფროსი ძმა გარეთ გაიყვანა და კვლავ ალმოდებულ სახლში შებრუნდა ანიტასა და არტისის გასაყვანად.

შემთხვევის ადგილიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მცხოვრები მეზობლები გაოცებული დარჩნენ, როდესაც მათ კარზე სანდრამ მიუკაკუნა, და რომ ნახეს, ცეროდენა გოგონას ხელში უმცროსი ძმა აეტატებინა და ამ ქარსა და ყინვაში ამოდენა გზა გამოეელო, მეზობლებმა თავისთან მიიყვანეს აივარი და ანიტაც.

ასე გადაარჩინა ხუთი წლის გონებამახვილმა გოგონამ თავის ორი ძმა და ერთი და.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

4 ᲛᲐᲠᲢᲘ

Შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბოჰემა (მე-12 აბონ. მე-5 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სტანისლავ ნეიგაუზის (ფორტეპიანო) კონცერტი,